ერგატივი და მისი თავისებურებები მეგრულენოვანი და ქართულენოვანი ბავშვების მეტყველებაში (2-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში)

ნინო სოსელია

სამეცნიერო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა დამენია, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

აბსტრაქტი 4

შესავალი 6

თავი 1 9

1.1 გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენების მდგომარეობა 9

1.2 ქართულისა და მეგრულის ისტორიული ურთიერთდამოკიდებულება..... 12

თავი 2 15

2.1 ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში 15

2.2 ერგატივის ფუნქციები ქართულსა და მეგრულში..... 22

2.3 ინვერსია და ერგატივი..... 28

თავი 3 32

3.1 ბავშვთა მეტყველების ფსიქოლინგვისტური ასპექტები 32

თავი 4 კვლევის მეთოდოლოგია..... 38

4.1 კვლევის დიზაინი..... 38

4.2 მონაწილეთა შერჩევა 38

4.3 კითხვარის შედგენა..... 39

4.4მასალის ანალიზი..... 40

თავი 5 40

5.1 კვლევის შედეგად გამოვლენილი ერგატიული თავისებურები ბავშვთა მეტყველებაში..... 40

თავი 6 44

ძირითადი დასკვნები..... 44

გამოყენებული ლიტერატურის სია..... 47

დანართი..... 50

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: გერჰარდ დეეტერსის სქემა----------12

ცხრილი 2: საერთოქართველური ენები----------13

ცხრილი 3: პირველი ზმნების კლასიფიკაცია მორფოლოგიური სტატუსის მიხედვით----------35

ცხრილი 4: ერგატივის სწორად გამოყენების სიხშირე მეგრულენოვანი ბავშვების მეტყველებაში. იმ ფორმებში, რომლებშიც მხოლოდ მეგრულში დასტურდება ერგატივი. ----------44

ცხრილი 5: ერგატივის სწორად გამოყენების სიხშირე მეგრულენოვანი ბავშვების მეტყველებაში. იმ ფორმებში, რომლებშიც ქართულშიც და მეგრულშიც დასტურდება ერგატივი.----------45

ცხრილი 6: ერგატივის სწორად გამოყენების სიხშირე ერთენოვანი (ქართულენოვანი) ბავშვების შემთხვევაში. ----------45

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: ერგატიული ფორმების გამოყენება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით----------48

აბრევიატურების ჩამონათვალი

იუნესკო-გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

NOM-NOMINATIVE- სახელობითი ბრუნვა

ERG-ERGATIVE-მოთხრობითი ბრუნვა

DAT-DATIVE-მიცემითი ბრუნვა

A-Agent -აგენსი

O-Object-ობიექტი

S-Subject-სუბიექტი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ერგატივისა და მისი თავისებურებების განხილვა ქართული და მეგრულენოვანი ბავშვების მეტყველებაში 2-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე განსაკუთრებით საყურადღებოა დღესდღეობით ერგატივის ფორმირებასთან დაკავშირებული თავისებურებების გამოვლენა მეგრულენოვანი ბავშვების მეტყველებაში, რამეთუ ახალ თაობაში ჩნდება ენის ფორმირების პირველი კვალი. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველური ენების საკითხი ძალზე აქტუალურია. მისი, როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული თავისებურებანი. ამიტომაც მსგავსი საკითხებით იყო და არის დღესაც დაინტერესებული ბევრი მკვლევარი. არსებობს მდიდარი და საინტერესო ლიტერატურა, რომელშიც დეტალურად არის გარჩეული ქართველური ენების ფორმირების საკითხი, მათი ურთერთმიმართება და ურთიერთზეგავლენა, როგორც დიაქრონიულ, ასევე სინქრონიულ ჭრილში.

კვლევა ჩატარდა მეგრულენოვანი და ქართულენოვანი ბავშვების გამოკითხვის შედეგად. გამოიკითხა შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები: 2-3, 3-4, 4-5, 5-6 წლის. თითოეული ასაკობრივი ჯგუფში ათი ბავშვი შედიოდა. მათ ეძლეოდათ შესაბამისი ფოტო ან/და ვიდეო მასალა და ამბობდნენ, თუ რას ხედავდნენ. შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ მეგრულენოვანი ბავშვები ადრეულ ასაკშივე მარტივად იყენებენ ერგატივის ფორმებს ქართულად საუბრისას, მეგრულად მეტყველებაში კი მეტად იგრძნობა ქართულის გავლენა და ხშირად ნომინატივის ფორმას იყენებენ ერგატივის ადგილას, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულენოვან ბავშვებთან შედარებით მეტად სწორად იყენებენ მეგრულენოვანი ბავშვები ერგატივის ფორმებს.

მოცემული ნაშრომი საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ, განვიხილოთ და გავაანალიზოთ ერგატივის თავისებურებები, მისი ფორმირების საკითხი ქართულისა და მეგრულის ენის შედარების საფუძველზე.